ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

N(N)LE Saint Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia

№ _____ 13. 09. 2021 წ.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება N259-ს

რექტორის 2021 წლის 30 აგვისტოს N237-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის 2021 წლის 30 აგვისტოს N19-კ ბრძანების „უნივერსიტეტის რექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლად თამაზ ვაჩაძის განსაზღვრის შესახებ"; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლების პაპუნა გურულისურის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება რექტორის 2021 წლის 30 აგვისტოს N237-ს ბრძანებაში „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2021 - 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობის ვაკანსიებისა და პროცესის ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ" და ბრძანების პირველი პუნქტის N1 დანართის პირველი ქვეპუნქტი და N2 დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

2. დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს, ენების ცენტრს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ვაჩაძე

დანართი N1

შიდა მობილობისთვის განსაზღვრული ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში**

   ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

   ა.ა) სამართალი - **5 ადგილი;**

   ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები - 170 **ადგილი;**

   ა.გ) ისტორია - 5 **ადგილი;**

   ა.დ) ქართული ფილოლოგია - **5 ადგილი;**

   ბ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

   ბ.ა) სამართალი - **5 ადგილი;**

   ბ.ბ) საჯარო მმართველობა - **5 ადგილი;**

   ბ.გ) ქართული ფილოლოგია - **5 ადგილი;**

   ბ.დ) საქართველოს ისტორია - **5 ადგილი;**

   გ) მასწავლებლის მომზადებისინტეგრირებული პროგრამებია -30- 30 ადგილი თითოეულზე.

დანართი N2

შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირების ვადები:

ა) შიდა მობილობის განხორციელების მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) – 2021 წლის 13 – 27სექტემბერი;

ბ) კრედიტების აღიარების კომისიების მუშაობა და დასკვნების მომზადება, ,სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე და მათი თანხმობის/უარის წერილობითი დადასტურება- 2021 წლის 14 – 28 სექტემბერი;

გ) დეკანატებისა და აღიარების კომისიების მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა მობილობის ფარგლებში მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მოსამზადებლად - 2021 წლის 29 სექტემბერი;

დ) შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ბრძანების/ბრძანებების პროექტის/პროექტების მომზადება და გამოცემა - 2021 წლის 30 სექტემბერი;